პროფესიული სტუდენტის გზამკვლევი

ქ.ბათუმი

2021

ბათუმის სამედიცინო აკადემიის მისია ხედვა და ღირებულებები

აკადემია თავის მისიას განსაზღვრავს გლობალური განვითარების კონტექსტში. მისი მოქმედების ძირითადი მიმართულებაა საგანმანათლებლო პროცესის ჰარმონიზაციის უზრუნველყოფა მედიცინის სფეროში. აკადემიაში სწავლისა და სწავლების პროცესი ორიენტირებულია სტუდენტის, როგორც ამ პროცესის სუბიექტის, ინტელექტუალურ და შემოქმედებით განვითარებაზე.

აკადემია თავის საქმიანობას წარმართავს თანამედროვე თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარ - ჩვევებით აღჭურვილი, კონკურენტუნარიანი და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებაზე და მუდმივი განვითარების გზით რეგიონში ლიდერობის მოპოვებაზე.

მისია:

ბათუმის სამედიცინო აკადემიის მისიაა: საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად რეგიონში დანერგოს შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით ჯანდაცვის და სხვა პროფილის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. მათი რეალიზებით უზრუნველყოს კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება და უწყვეტი განათლების ხელშეწყობით იზრუნოს კურსდამთავრებულთა პროფესიულ განვითარებაზე.

ხედვაში ასახული მდგომარეობის მიღწევაში აკადემიის მონაწილეობა განისაზღვრება იმ მიზნებითა და ამოცანებით, რომლებსაც აკადემია შეიმუშავებს წინამდებარე სტრატეგიული გეგმის ფარგლებში.

ხედვაა:

რეგიონის შრომის ბაზარზე მუდმივად გვეჭიროს ლიდერის პოზიცია. რაც გამოიხატება კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებასა და მათი დასაქმების მუდმივად მზარდ მაჩვენებლებში

ღირებულებები:

გუნდური სულისკვეთება, მიზანსწრაფვა, პროფესიონალიზმი და ეთიკურობა.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად

წარსადგენი დოკუმენტები.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა აკადემიის დირექტორის

ბრძანებით დადგენილ ვადაში უნდა წარმოადგინოს:

- აკადემიის მიერ დადგენილი ფორმის განცხადება პროფესიული სტუდენტის

სტატუსის მოპოვების მოთხოვნის თაობაზე;

- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი; (არასრულწლოვანობის

შემთხვევაში დაბადების მოწმობის ასლი, ასევე მისი კანონიერი წარმომადგენლის

პირადობის მოწმობის ასლი);

- განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- უცხოეთში ან/და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული განათლების

შემთხვევაში განათლების აღიარების დოკუმენტი.

- ორი ფოტოსურათი 3x4.
- საჭიროების შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა

დოკუმენტი.

პროფესიული სტუდენტის რეგისტრაცია

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების ხანგრძლივობა განსაზღვრულია კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით.

2. სასწავლო წლის დაწყებამდე დირექტორი ბრძანებით განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამაზე, სწავლების დაწყების, სააუდიტორიო მეცადინეობების, საგამოცდო პერიოდის და სწავლების დამთავრების ვადებს.

3. პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაცია წარმოებს სარეგისტრაციო ჟურნალში;

4. რეგისტრაციის ვადებს განსაზღრავს აკადემიის დირექტორი შესაბამისი ბრძანებით.

5. რეგისტრაციის გასავლელად, პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:

- გააფორმოს აკადემიასთან სასწავლო ხელშეკრულება;
- დააფიქსიროს სწავლის საფასურის პირველი შენატანი;

6. პროფესიულ სტუდენტს, რომელიც არ დარეგისტრირდება დადგენილ ვადაში არასაპატიო მიზეზით, უჩერდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი მორიგ სასწავლო რეგისტრაციამდე;

7.სასწავლო კურსის შეცვლა დასაშვებია სასწავლო პროცესის დაწყებიდან 1 თვის ვადაში.

8. პროფესიული სტუდენტის მიერ აკადემიაში სწავლისუფლების მოპოვების მიზნით წარმოდგენილიდოკუმენტების სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება პროფესიულ სტუდენტს (ან კანონიერ წარმომადგენელს).

9. ხელშეკრულებას ხელს აწერს აკადემიის დირექტორი ერთი მხრიდან და მეორე მხრიდან - პროფესიული სტუდენტი, ან არასრულწლოვანობის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენელი.

10. ხელშეკრულების შედგენა ხდება იდენტურ, ერთნაირი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად. ხელშეკრულების დადებისას ერთი ეგზემპლარი გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს ან არასრულწლოვანობის შემთხვევაში მის კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო მეორე ეგზემპლარი ინახება პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში.

პროფესიული ტესტირებით პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების და ჩარიცხვის პირობები

1. პროფესიული ტესტირებით პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების და ჩარიცხვის პირობები განისაზღვრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N152 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულებითა და საქართველოს მთავრობის

2013 წლის 19 სექტემბრის N244 დადგენილებით „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის სახელმწიფოს მიერ დასაფინანსებელი სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისად;

2. პროფესიული ტესტირების დებულების შესაბამისად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლების მოპოვების საფუძველს წარმოადგენს სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (შემდგომში ,,ცენტრი“) მიერ ორგანიზებულ ტესტირებაში მონაწილეობა და მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვა; პროგრამებზე, რომლებზეც არ დაფიქსირდება კონკურსი, აპლიკანტები, ჩაირიცხებიან ეროვნული ტესტირების გარეშე, შიდა შერჩევის გზით.

3. ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტესტირებაში მონაწილეობის უფლება აქვს პროფესიული ტესტირების დებულების შესაბამისად დადგენილი წესით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ტესტირებაზე დარეგისტრირებულ აპლიკანტს, რომელიც სწავლის გაგრძელებას აპირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელსაც აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული საბაზო და/ან საშუალო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, აკმაყოფილებს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო

სტანდარტით ან / და პროფესიის სტანდარტით დადგენილ დამატებით

მოთხოვნებს;

4. აკადემია სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, ანკეტა-კითხვარის შევსების

გზით, აცხადებს აპლიკანტთა მიღებას პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამებზე არსებული კვოტის გათვალისწინებით, თითოეულ პროგრამაზე

გამოცხადებულ ადგილთა რაოდენობა არ უნდა იყოს 5-ზე ნაკლები;

4.1. თუ პროფესიული ტესტირების საფუძველზე აპლიკანტი ჩაირიცხა პროფესიულ

საგანმანათლებლო პროგრამაზე, სადაც ჩარიცხულ პირთა რაოდენობა 5-ზე ნაკლებია, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს:

4.1.1. გადავიდეს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში იმავე პროფესიულ პროგრამაზე;

4.1.2. აკადემიის დებულებათა კრებულის შესაბამისად ისარგებლოს შიდა მობილობით და გადავიდეს სხვა პროფესიულ პროგრამაზე, სადაც ჩარიცხვის წინაპირობად მოითხოვებოდა ტესტირების ჩატარება იგივე საგანთა ჯგუფში;

4.1.3. შეიჩეროს სტატუსი და შეინარჩუნოს მის მიერ მოპოვებული სამართლებრივი

მდგომარეობა შემდგომ მიღებამდე.

5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები ტესტირების ორგანიზება ხდება საგამოცდო ცენტრის მიერ, ხოლო მიღებას აცხადებს აკადემია საგამოცდო ცენტრის წარდგინებით სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში საგამოცდო ცენტრის მიერ დადგენილი ელექტრონული ფორმით.

6. აკადემიის დირექტორი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები აპლიკანტთა რაოდენობის მინიმუმ 10%-ს განსაზღვრავს სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის;

7. პირებისთვის, რომლებიც ტესტირებას აბარებენ სხვა ენაზე, ქართული ენის კომპეტენციის დადგენის მიზნით, ტარდება ტესტირება. ვერ დადსატურების შემთხვევაში, პირი ვალდებულია ჯერ გაიაროს ქართული ენის მოდულები და შემდგომ გააგრძელოს სწავლა არჩეულ პროფესიულ პროგრამაზე. ტესტირება ტარდება სწავლის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე;

8. დუალური მიდგომით განსახორციელებელ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის უფლების მოპოვება ხდება შესაბამისი კონკურსის და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ტესტირების ჩაბარების საფუძველზე;

9. აპლიკანტებმა, რომლებსაც სურთ დუალური მიდგომით გასახორციელებელ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა, ტესტირებამდე უნდა გაიარონ კონკურსი აკადემიის მიერ დადგენილი წესით;

9.1. კონკურს ატარებს საკონკურსო კომისია, რომელიც იქმნება საჭიროების შემთხვევაში აკადემიის დირექტორის სამართლებრივი აქტით;

9.2. საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს: დამსაქმებელი ორგანიზაციის/ ორგანიზაციების წარმომადგენელი, აკადემიის წარმომადგენელი;

9.3. კომისიის წევრები აპლიკანტებს აფასებენ წინასწარ შემუშავებული სქემით და ირჩევენ მათთვის სასურველ აპლიკანტებს, რის შემდეგაც ფორმდება სამმხრივი ხელშეკრულება საწარმო-პროფესიული სტუდენტი-აკადემია;

10. დუალური მიდგომით განახორციელებელ პროგრამებზე ჩარიცხვისათვის აკადემია ტესტირების დაწყებამდე 10 დღით ადრე მართვის სისტემას ელექტრონული ფორმით გადაუგზავნის კონკურსის შედეგებს, სადაც მითითებული უნდა იყოს: სპეციალიზაციის კოდი, პროფესიული საგანმანატლებლო პროგრამის

დასახელება და ინფორმაცია მისი განხორციელების თავისებურებების სესახებ, აპლიკანტის პირადი ნომერი, სახელი და გვარი, კონკურსზე მიღებული ქულა, მოთხოვნის შემთხვევაში სხვა საჭირო ინფორმაცია;

11. დირექტორის ბრძანება, პროფესიული ტესტირებით მიღების შესახებ, საჯაროდ ქვეყნდება აკადემიის ვებ-გვერდზე;

12. პროფესიული ტესტირების ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების შესახებ მონაცემები დაწესებულებას აქტის გამოცემიდან 3 დღის ვადაში შეაქვს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში

პროფესიული სტუდენტი

1. პროფესიული სტუდენტი არის პირი, რომელიც ,,პროფესიული განათლების

შესახებ“ საქართველოს კანონითა და აკადემიის დებულებით განსაზღვრული

წესით ჩაირიცხა და სწავლობს აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად.

2. აკადემიაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე შეიძლებაჩაირიცხოს პირი რომელსაც დაძლეული აქვს ზოგადი განათლების სრული / საბაზო საფეხური.

3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება დოკუმენტების

განხილვისა და მასზე დაშვების წინაპირობებთან პირის შესაბამისობის განსაზღვრის საფუძველზე.

4. უცხოეთში მიღებული განათლების მქონე პირის ჩარიცხვა ხდება, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბერი №98/ნ ბრძანების „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის

დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესის“ საფუძველზე. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებამდე პირმა უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან (ატესტატი) ერთად უნდა წარმოადგინოს, სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრიდან გაცემული დოკუმენტი- უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ.

5. ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების მსურველმა პირმა პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებამდე ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების დამადასტურებელ დოკუმენთან (ატესტატი) ერთად უნდა წარადგინოს (ტერიტორიის მიხედვით) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ან/და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე

შექმნილი დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციის გადაწყვეტილება - ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული

განათლების აღიარების შესახებ.

6. აკადემიის პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭება ხდება აკადემიის

დირექტორის ბრძანებით სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის წარდგინებით

7. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებასთან დაკაშირებული სხვა სამართლებრივი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8. პროფესიული სტუდენტის სტატუსი პირს უფლებას აძლევს ისარგებლოს მათთვის

განსაზღვრული უფლებებით.

9. **პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს:**

- მიიღოს მისი ინტერესების შესაბამისი ხარისხიანი განათლება, აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო და პრაქტიკულ საქმიანობაში;
- ისარგებლოს აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
- მიიღოს აკადემიის ადმინისტრაციისგან ამომწურავი ინფორმაცია თავისი უფლებების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და აკადემიის სხვა რესურსების შესახებ;
- მოითხოვოს ფორმალური განათლების აღიარება;
- მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს საგამოცდო შედეგი;
- მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია უფლებამოსილი პირისაგან საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო კურსების, გამოცდების ჩატარების ვადებისა და ფორმატის, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის თაობაზე;
- მიიღოს მონაწილეობა აკადემიის მიერ განხორციელებულ სასწავლო პროცესის, საწავლო პერსონალისა და ადმინისტრაციული პერსონალის მუშაობის შეფასებაში;
- საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ ძირითად ვადებში შეფასების გაუმჯობესების მიზნით სამუშაო ნორმად დადგენილი კრედიტების ფარგლებში განმეორებით მოისმინოს სასწავლო კურსი. ამ შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს სასწავლო კურსის შეფასებად უფიქსირდება უკეთესი შედეგი;
- აკადემიის მიერ განხორციელებული არამართლზომიერი ქმედება გაასაჩივროს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;
- მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში;
- ისარგებლოს შიდა და გარე მობილობის უფლებით;
- მოსთხოვოს აკადემიის ადმინისტრაციას კანონმდებლობით, აკადემიის შიდა სამართლებრივი აქტებით, პროფესიულ სტუდენტთან დადებული

ხელშეკრულებითა და საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება;

- მოითხოვოს პირადი ინფორმაციის, საკუთარი შეხედულებების, რწმენისა და პოლიტიკური მრწამსის, დისციპლინური ღონისძიებების გატარების შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვა;
- ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებებით;

10. დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის უფლებების შეზღუდვა, გარდა იმ შემთხვევებისა თუ იგი ხელს უშლის სასწავლო პროცესის, დისციპლინისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ან მიმართულია ამ დებულებით დადგენილი აკადემიის მიზნებისა და პრინციპების საწინააღმდეგო საქმიანობის აღკვეთისათვის.

პროფესიული სტუდენტის ვალდებულებები

პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:

- ისწავლოს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული აუცილებელი სასწავლო კურსები/მოდულები და დააგროვოს შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების საჭირო რაოდენობა;

- იმოქმედოს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულიუფლებამოსილების ფარგლებში, იცოდეს თავისი უფლებები და ვალდებულებები, გაეცნოს დაწესებულების სამართლებრივ აქტებს;
- დაიცვას აკადემიის შინაგანაწესით და აკადემიის სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული წესები;
- შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
- დაიცვას საზოგადოებრივი წესრიგი, სხვა პირების უფლებები დაკანონიერი ინტერესები, გაითვალისწინოს და შეასრულოს სხვათა სამართლიანი მოთხოვნები, შენიშვნები, მითითებები;
- წარმატების მისაღწევად ისარგებლოს კეთილსინდისიერიკონკურენციის პრინციპით, არ დაუშვას პლაგიატი;
- გაუფრთხილდეს სასწავლო ინვენტარსა და აკადემიის სხვა ქონებას;
- თავისი ქმედებით არ შებღალოს აკადემიის რეპუტაცია;
- პატივი სცეს სხვა პროფესიული სტუდენტის ღირსებას, არ დაუშვას მისი დაჩაგვრა ან ძალმომრეობითი ქმედება მათ მიმართ;
- დროულად აცნობოს აკადემიის ადმინისტრაციას მისამართის ან სხვა პირადი მონაცემის ცვლილების შესახებ.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება

1.აკადემიის პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მიმართოს აკადემიას

განცხადებით, მისთვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და მისი სასწავლო პროცესში მონაწილეობისგან და პროფესიული სტუდენტის სხვა უფლებამოვალეობებისგან დროებით განთავისუფლების თაობაზე.

2. პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლის გარდა პროფესიული

სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლებია:

- ხანგრძლივი ავადმყოფობა, თუ დოკუმენტურად დასტურდება სასწავლო პროცესში მონაწილეობის შეუძლებლობა, ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის გაუარესება;
- უცხო ქვეყანაში სწავლა;
- ფინანსური დავალიანება;
- სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე;
- აკადემიური შვებულება;
- ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობა;
- აკდემიაში ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამოუცხადებლობა.
- პროფესიული სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყება თუ ეს საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, აკადემიის საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვას;
- მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები;

3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების დროის განმავლობაში, აკადემია დაპროფესიული სტუდენტი თავისუფლდებიან ურთიერთსანაცვლო უფლება მოვალეობების შესრულებისაგან.

4.პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია მომდევნო სასწავლოწელს, სტატუსის შეჩერების მომენტისათვის გავლილი მასალის და გადახდილი სწავლის საფასურის ჩათვლით, თუ კი აღმოფხვრილი იქნება ის გარემოებები, რაც გახდა პირისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველი.

5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 3 წლის ვადის გასვლისშემდეგ, სასწავლო პროცესში დაუბრუნებლობის შემთხვევაში, პირს უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

6. იმ შემთხვევაში, თუ ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა,რომელზედაც ირიცხებოდა პროფესიული სტუდენტი მისთვის სტატუსის აღდგენისმომენტისათვის გაუქმებულია, ან შეცვლილია პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია სწავლა გააგრძელოს სხვა საგანმანათლებლოპროგრამით ან მობილობით გადავიდეს სხვა დაწესებულებაში,კანონმდებლობით დადგენილი წესითა და აკადემიის შიდა სამართლებრივიაქტების შესაბამისად.

7. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება ფორმდება სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის წარდგინების საფუძველზე, აკადემიის დირექტორის სამართლებრივი აქტით. შესაბამისი ცვლილებები არაუგვიანეს 3 (სამი) დღის ვადაში აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.

8. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი საკითხები წყდება მოქმედი კანონმდებლობითა და აკადემიის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით

პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეწყვეტა

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:

- აკადემიაში სწავლის პერიოდში 3 წელზე მეტი ხნის განმავლობაში

სტუდენტის სტატუსის შეჩერება;

- პროფესიული სტუდენტის მიერ შესაბამის სასწავლო საფეხურზე საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;
- პირადი განცხადება;
- საგანმანათლებლოპროგრამითგანსაზღვრულიმიზნის მიუღწევლობა,

მოუსწრებლობის (აკადემიური ჩამორჩენილობის)გამო;

- კანონიერ ძალაში შესული განაჩენი პროფესიული სტუდენტის მძიმე ან

განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის სისხლის სამართლის

პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს 3 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთას;



- დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის გადამწყვეტი დამოუკიდებელი კომისიის მიერ პროფესიული სტუდენტის მიმართ განხორციელებული დისციპლინური დევნის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება აკადემიის შრომის შინაგანაწესისა და მოქმედი სამართლებრივი აქტების საფუძველზე;
- გარდაცვალება.

2. აკადემია ვალდებულია პირისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საკითხის დაყენებისდროს აცნობოს დაინტერესებულ პირს აღნიშნულის შესახებ, მოისმინოს მისი პოზიცია, მისცეს მას ახსნა-განმარტების წარმოდგენის საშუალება.

3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწვეტა ფორმდება აკადემიის დირექტორის დასაბუთებული ბრძანებით და 3 (სამი) დღის ვადაში აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.

4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა იწვევს მათთან დადებული ხელშეკრულების მოშლას, რაც არ ანთავისუფლებს აკადემიას გასცეს პროფესიული

სტუდენტის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტები, ხოლო პროფესიულ სტუდენტს მიწოდებული მომსახურების საფასურის გადახდისაგან.

5.გადაწყვეტილება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტისშესახებ შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი საკითხები წყდება მოქმედი კანონმდებლობითა და აკადემიის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის სამართლებრივი შედეგები

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებსამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგებიდგება ბრძანების გამოცემიდან 12 თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთშიპროფესიული სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად დასტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობისუფლებით და გადავიდეს სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტისშემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებიაკანონმდებლობით დადგენილი წესით

სწავლების დამატებითი პერიოდი

1. პროფესიულ სტუდენტს, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამითგანსაზღვრულ ვადებში ვერ მოიპოვა შესაბამისი პროფესიულიკვალიფიკაცია,

უფლება ეძლევა თვითდაფინანსების გზით
დაასრულოსსაგანმანათლებლო პროგრამა დამატებითი
პერიოდის განმავლობაში.

2. დამატებით პერიოდში პროფესიული სტუდენტი იხდის კრედიტებისრაოდენობის შესაბამის გადასახადს.

3. ერთი კრედიტის ღირებულება განისაზღვრება პროფესიულისაგანმანათლებლო პროგრამის სრული სასწავლო გადასახადისა და ამპროგრამით გათვალისწინებული კრედიტების სრული რაოდენობის განაყოფით.

საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა ან გაუქმება

1.აკადემია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ანგაუქმებისგადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა დაწესებულების ფარგლებში სხვა მოდიფიცირებულ ან თავსებად, მომიჯნავე საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას, უკვე მიღებული კრედიტების აღიარებით. ან/და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

2. თუ აკადემიაში არ ხორციელდება გაუქმებულ პროფესიულ პროგრამასთან თავსებადი, მომიჯნავე საგანმანათლებლო პროგრამა, აღნიშნული პროგრამის

გაუქმების გადაწყვეტილების მიღებამდე, აკადემია ვალდებულია პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი პროგრამის ფარგლებში კრედიტების აღიარების თაობაზე გააფორმოს ხელშეკრულება სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, რომელიც ახორციელებს გაუქმებულ ან მასთან თავსებად, მომიჯნავე პროგრამას სადაც შესაძლებელია გადავიდეს შეცვლილი /გაუქმებული პროგრამის პროფესიული სტუდენტი მობილობის წესით.

3. შეცვლილ/გაუქმებულ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების/მოდულების კრედიტების აღიარებას ახდენს კრედიტების აღიარების კომისია.

4. პროფესიულ სტუდენტს ავტომატურად უღიარდება შეცვლილი/ გაუქმებული პროგრამით გავლილი სასწავლო კურსები, თუ მათი დასახელება, სწავლის შედეგები და კრედიტების რაოდენობა ემთხვევა მოდიფიცირებული ან თავსებადი, მომიჯნავე პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების/მოდულების დასახელებას,

სწავლის შედეგებს და კრედიტების რაოდენობას.

5. იმ შემთხვევაში, თუ კრედიტების აღიარების დადგენილი წესით პროფესიულ სტუდენტს დააკლდება კრედიტების რაოდენობა ვალდებულია სწავლა გააგრძელოს კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო კრედიტების დაგროვებამდე.

6. თუ პროფესიულ სტუდენტს სურვილი არ აქვს სწავლა გააგრძელოს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში, აკადემია უზრუნველყოფს შესაბამისი პროგრამის მილევად რეჟიმში სწავლებას, ყველა მსურველის გადაყვანის პროცესის დასრულებამდე.

დისციპლინური წარმოება პროფესიული სტუდენტის მიმართ

1. პროფესიული სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოება უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის პროპორციული და შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობის "პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, ამ დებულებით, აკადემიის შინაგანაწესის ნორმებით გათვალისწინებულ შემთხვევებში და გათვალისწინებული წესით,სამართლიანი პროცედურის გზით.

2. პროფესიული სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყება არუნდა ზღუდავდეს პროფესიული სტუდენტის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, გარდა აკადემიაში მოქმედი სამართლებრი აქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, თუ ეს საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, აკადემიის საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვას. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, დაესწროს თავისი საქმის განხილვას.

3. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის მიმართ დისციპლინარული დევნის განხორციელების შესახებ არ შეიძლება ცნობილი გახდეს მესამე პირებისათვის

პროფესიული სტუდენტის თანხმობის გარეშე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. პროფესიული სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხს წყვეტს აკადემიის დირექტორის მიერ შექმნილი დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის გადამწყვეტი დამოუკიდებელი კომისია,რომელსაც ბრძანებით ნიშნავს დირექტორი.

5. დისციპლინური წარმოების განხორციელებისას პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს:

- წერილობითი ფორმით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მისმიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ;
- დაესწროს დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვას დაისარგებლოს დაცვის უფლებით;
- მიაწოდოს აკადემიის შესაბამის ორგანოს თავის ხელთ არსებულიინფორმაცია და მტკიცებულებები;
- მონაწილეობა მიიღოს აკადემიის შესაბამისი ორგანოს მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში;
- მოითხოვოს, მის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხი განხილულ იქნეს საჯარო სხდომაზე.

6. დისციპლინური წარმოების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილებაუნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს საქართველოს მოქმედიკანონმდებლობითა და აკადემიის სამართლებრივი აქტების დაცვით მოპოვებულ მტკიცებულებებს.

7. პროფესიული სტუდენტის მიმართ გამოიყენება შემდეგი სახის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები:

- გაფრთხილება;
- საყვედური;
- მკაცრი საყვედური;
- მატერიალური სახდელის შეფარდება;
- პრობაციის რეჟიმზე გადაყვანა;
- პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება;
- პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

8. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, სასამართლოში გაასაჩივროს აკადემიის მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება.

პროფესიულ სტუდენტთა მობილობა.

1. აკადემიაში პროფესიული სტუდენტის მობილობის წესით ჩარიცხვა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით და აკადემიაში მოქმედი სამართლებრივი აქტების მიხედვით.

2. მობილობა არის პროფესიულ სტუდენტთა თავისუფალი გადაადგილება სწავლის პროცესებში მონაწილეობის მისაღებად, როგორც აკადემიის ფარგლებში (შიდა მობილობა), ისე სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში(გარე მობილობა), ან უცხოეთში, რასაც თანსდევს მიღებული კრედიტების აღიარება. აკადემიის ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულისტუდენტის გადასვლის (შემდგომში - „შიდა მობილობა“) ადმინისტრირებას ახორციელებს აკადემია. შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება პროფესიულ სტუდენტს წარმოეშობა საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის საფეხურზე სწავლების პირველი ერთი თვის განმავლობაში.

3. მობილობა (შიდა და გარე) დასაშვებია მხოლოდ ერთი და იგივე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს შორის.

4. მობილობის უფლება აქვს პროფესიულ სტუდენტს, რომელიც ჩარიცხულია კანონმდებლობით დადგენილი წესით და მობილობის მომენტისათვის წარმოადგენს აკადემიის ან სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიულ სტუდენტს. ასევე პირს, რომელსაც მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

5. პროფესიული სტუდენტი მობილობის მსურველის სტატუსს მოიპოვებს აკადემიის დირექტორისათვის კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის თაობაზე განცხადებით მიმართვის საფუძველზე.

6.მობილობის მსურველმა პროფესიულმა სტუდენტმა განსაზღვრულ დოკუმენტაციასთან ერთად უნდა წარმოადგინოს ცნობა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შესახებ.

9. პროფესიული სტუდენტები მობილობით ჩაირიცხებიან შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო კურსების თავსებადობისა და კრედიტების აღიარების შედეგების საფუძველზე, მოქმედი სამართლებრივი აქტებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10. მობილობის მსურველს შესაძლებელია ჩაუტარდეს გასაუბრება წინა პროგრამის ფარგლებში გავლილი სასწავლო თუ პრატიკულ კურსებში მიღწეული შედეგების აკადემიის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ შედეგებთან შესაბამისობის დასადგენად.

11. მობილობით/შიდა მობილობით პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის თაობაზე დირექტორი გამოსცემს ბრძანებას, რაც 5 დღის ვადაში აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.

პროფესიული სტუდენტის ქცევის წესები და პასუხისმგებლობა.

1. დაწესებულების პროფესიული სტუდენტები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ დაწესებულების პრესტიჟს, ზუსტად დაიცვან დაწესებულების შინაგანაწესი, დაწესებულების ტერიტორიაზე ქცევის წესები, აგრეთვე ეთიკის ნორმები დაწესებულების პერსონალთან და სხვა სტუდენტებთან/პროფესიულ

სტუდენტებთან ურთიერთობაში.

2. მატერიალური პასუხისმგებლობის ზომა პროფესიული სტუდენტების მიმართ გამოიყენება მე-3 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში;

3. დაწესებულების ტერიტორიაზე პროფესიულ სტუდენტებს ეკრძალებათ:

- თამბაქოს მოწევა დაწესებულების შენობაში, რაც გამოიწვევს მატერიალური სახდელის შეფარდებას 10 ლარის ოდენობით;
- ხმაური და მეცადინეობისათვის ხელის შეშლა, რაც გამოიწვევს პროფესიული სტუდენტების გაფრთხილებას;
- დაწესებულების შენობის ტერიტორიაზე პოლიტიკური ხასიათის გამოსვლებისა და მიტინგების მოწყობა, რაც გამოიწვევს მკაცრი საყვედურის გამოცხადებას;
- დაწესებულების შენობაში ცეცხლსასროლი ან გაზის იარაღით შესვლა, რაც გამოიწვევს სასტიკი საყვედურის გამოცხადებას;
- დაწესებულების ტერიტორიაზე აზარტული თამაშები, რაც გამოიწვევს მკაცრი საყვედურის გამოცხადებას;
- ალკოჰოლური საშუალებების გამოყენება, ან ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ აკადემიაში გამოცხადება, რაც გამოიწვევს მკაცრი საყვედურის გამოცხადებას.
- ნარკოტიკული საშუალებების გამოყენება, გავრცელება,რაც გამოიწვევს ადმინისტრაციულ ან სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- გამოცდის ჩატარებისა და გამოცდაზე ქცევის წესების დარღვევა, რაც გამოიწვევს გაფრთხილებას;
- დაწესებულებაში გამოცხადება გარეგნულად მოუწესრიგებელი სახით, არაადეკვატური ჩაცმულობით და ჰიგიენის ნორმების დაუცველად, რაც გამოიწვევს გაფრთხილებას;
- აუდიტორიული მეცადინეობის ხელის შეშლა ან ჩაშლა, რაც გამოიწვევს მკაცრი საყვედურის გამოცხადებას;
- დაწესებულების შენობაში განცხადებების ჩამოხევა ან გაფუჭება, რაც გამოიწვევს მკაცრი საყვედურის გამოცხადებას;
- პროფესიული სტუდენტებისათვის ან/და თანამშრომლებისათვის ცრუ ინფორმაციის მიწოდება, რომლის მიზანიც იყო აუდიტორიული მეცადინეობის ან გამოცდის ჩაშლა, ან გაცდენების საპატიოდ ჩათვლა ან მისი ოჯახის წევრებთან დაწესებულების თანამშრომლობის კონტაქტისათვის ხელის შეშლა, რაც გამოიწვევს საყვედურის გამოცხადებას;

- დაწესებულების ქონების დაზიანება, დაკარგვა ან დაუბრუნებლობა, რაც გამოიწვევს მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას და მკაცრი საყვედურის გამოცხადებას;
- დაწესებულებისათვის საჭირო დოკუმენტაციის უნებართვოდ აღება ან განადგურება, რაც გამოიწვევს მკაცრი საყვედურის გამოცხადებას;
- დაწესებულების ტერიტორიის (შენობისა და ეზოს) დანაგვიანება დაბინძურება, რაც გამოიწვევს დასუფთავების ხარჯების ანაზღაურების ვალდებულებას და გაფრთხილებას.
- დაწესებულების მარეგულირებელი აქტებით განსაზღვრული სხვა წესების და პირობების დარღვევისათვის, აგრეთვე სხვა სახის დისციპლინური გადაცდომებისათვის, რისთვისაც პასუხისმგებლობის ზომა ამ მუხლით არაა განსაზღვრული, ყველა ინდივიდუალურ შემთხვევასთან მიმართებაში გადაწყვეტილებას იღებს აკადემიის დირექტორი.

პროფესიული სტუდენტების წახალისების სახეები

1. აკადემიის პროფესიულ სტუდენტთა წახალისება ხდება მოვალეობის კეთილსინდისიერად და სანიმუშოდ შესრულებისათვის, სანიმუშო

ყოფაქცევისათვის და აქტიურობისათვის, გამორჩეული აკადემიური მოსწრებისათვის, დაწესებულების სახელით სპორტულ, კულტურულ

ღონისძიებებში წარმატებების მიღწევისათვის;

2. წახალისების სახეებია:

- მადლობის გამოცხადება;
- სერთიფიკატის, დიპლომის გადაცემა;
- ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;

- სტიპენდიის დანიშვნა;

3. წახალისება ცხადდება დირექტორის ბრძანებით და შეიტანება პროფესიული სტუდენტის პირად ბარათში.

კრედიტები

1. კრედიტი გამოხატავს ცალკეული სასწავლო კურსით/მოდულით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებებისასათვისებლად პროფესიული სტუდენტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას (დატვირთვას).

2. ერთი კრედიტი ასახავს პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობას 25 ასტრონომიული საათის განმავლობაში.

3. კრედიტის მისაღებად პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა

უნდა მოიცავდეს:

- თეორიის კომპონენტის ფარგლებში

ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას;

დამოუკიდებელ მეცადინეობას;
გამოცდების მომზადება-ჩაბარებას.

- პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში
  პრაქტიკულ მეცადინეობას;
  გამოცდის ჩაბარებას

პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება

1.შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების,

ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმავითარებელი შეფასება არ აისახება განმსაზღვრელ შეფასებაში;

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- სწავლის შედეგი დადასტურდა;
- სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე ან იმ მოდულის დაწყებამდე, რომლის წინაპირობასაც წარმოადგენს მოდული, რომლის შედეგიც ვერ დადასტურდა;

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს 2-ჯერ გავიდეს დამატებით გამოცდაზე, შედეგის ვერ დადასტურების შემთხვევაში ვალდებულია მოდული გაიაროს თავიდან, ამ მოდულის კრედიტების რაოდენობის საფასურის გადახდით.

სწავლის შედეგის დადასტურება ერთი პროგრამის ფარგლებში მხოლოდ

ერთხელ ხდება;

შესაძლებელია რამოდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად დადასტურება;

შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ჩამონათვალი

მოცემულია შესაბამის მოდულში.

შეფასების შედეგი ფორმდება შეფასების უწყისით.

პროფესიული სტუდენტი, რომელიც არ ეთანხმება გამოცდაზე შეფასებას, უფლებამოსილია, შედეგის გაცნობიდან არაუგვიანეს მეორე დღისა, დასაბუთებული საჩივრით მიმართოს სააპელაციო კომისიას. სააპელაციო კომისია იქმნება დირექტორის ბრძანების საფუძველზე. საჩივრის განხილვა მოხდება სტუდენტის მიერ წერილობით წარმოდგენილი შეტყობინების საქმის წარმოების სამსახურში რეგისტრაციიდან 3 დღის განმავლობაში. სააპელაციო კომისია თავის მუშაობას უზრუნველყოფს სამართლიანობის და გამჭირვალობის პრინციპის დაცვით.

კვალიფიკაციის მინიჭება

1. პროფესიული სტუდენტისათვის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების

საფუძველს წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა

მოდულის კრედიტების ათვისება და შედეგების დადასტურება. აკადემიის

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ

კურსდამთავრებულს ენიჭება პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი

დონის პროფესიული კვალიფიკაცია. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

ხდება აკადემიის დირექტორის სამართლებრივი აქტით სასწავლო პროცესის

მენეჯერის წარდგინებით.

2.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის, რომელთა ჩარჩო

დოკუმენტიც ითვალისწინებს საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებას და დუალური მიდგომით განსახორციელებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის, პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების აუცილებელ პირობას წარმოადგენს საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარება, პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭება ხდება საკვალიფიკაციო კომისიის მიერ.

3.საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება თეორიული და პრაქტიკული გამოცდის სახით შესაბამის გარემოში (თეორიული-აკადემიაში, პრაქტიკული პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ ძირითად ბაზაზე-პრაქტიკის ობიექტზე) სხვადასხვა დღეს;

დიპლომი/მოწმობა/სერტიფიკატი

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულზე გაიცემა აკადემიის დირექტორის ხელმოწერილი და აკადემიის ბეჭდით დამოწმებული შესაბამისი კვალიფიკაციის პროფესიული დიპლომი დანართით.

2. პირს, რომელმაც არ/ან ვერ დაასრულა შესაბამისისაგანმანათლებლო საფეხური, ეძლევა სათანადო მოწმობა.

3. აკადემიის მოკლევადიანი კურსების გავლის შემდეგ გაიცემა სათანადოდ დამოწმებული აკადემიის სერტიფიკატი.

დისტანციური სწავლების ინსტრუქცია

აღნიშნული ინსტრუქცია განკუთვნლია შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიაში ფორს მაჟორულ სიტუაციებში პროფესიული სწავლების თეორიული კომპონენტის დისტანციურად განხორციელებისა და სწავლების განხორციელების მტკიცებულებების მოპოვებისათვის. დისტანციური სწავლება არის სწავლების ფორმა, რომელიც შექმნილია სპეციალურად სტუდენტისთვის ან სტუდენტთა ჯგუფისთვის, რომლებიც ტრადიციულ აუდიტორიაში ფიზიკურად არ იმყოფებიან. ეს არის "პროცესი, რომელიცხელმისაწვდომს ხდის სწავლას, როდესაც ინფორმაციის წყარო და მიმღებიერთმანეთისგან დროით, სივრცით ან ორივე შემთხვევაში დაშორებულნი არიან.“

აკადემია დისტანციური სწავლების ორგანიზებისათვის ირჩევს მაიკროსოფტის პროდუქტს Zoom - პროგრამას, რომელიც აერთიანებს მიმოწერას შეხვედრებს, ფაილების გაცვლის სერვისებსა და სხვა

აპლიკაციებს, საშუალებას იძლევა მოვაწყოთ ვირტუალური აუდიტორიები, გვქონდეს ეფექტური კომუნიკაცია პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიულ მასწავლებლებთან და ჩავატაროთ ლაივ ინტერაქტიული ლექციები.

Zoom- პროგრამა, იძლევა საშუალებას, პროფესიულ სტუდენტებსა და მასწავლებლებს ჰქონდეთ პირადი სამუშაო სივრცე, სადაც შესაძლებელია დავალებებისა და დამატებითი სასწავლო რესურსების ატვირთვა; პროფესიულ მასწავლებლებს შესაძლებლობა ეძლევათ, პროგრამა form-ში შექმნან სტუდენტების ტესტირებისთვის დახურული და ღია ტიპის კითხვები. ციფრული საკლასო დაფა ონლაინლექციაზე დაგჭირდებათ კამერა და მიკროფონი, სტაბილური ინტერნეტ-კავშირი. ლექციის დაწყებამდე შეამოწმეთ კამერა და მიკროფონი ტექნიკური

ხარვეზის თავიდან აცილების მიზნით; სუსტმა ინტერნეტ-კავშირმა შესაძლოა ხელი შეგიშალოთ გამოსახულების დანახვაში ან მოსმენისას.

გაითვალისწინეთ, როდესაც იყენებთ ონლაინ მეცადინეობის პლატფორმას, გახსოვდეთ, რომ ეს გახლავთ ვირტუალური აუდიტორია/სალექციო ოთახი და უნდა მოიქცეთ ისე, როგორც ჩვეულებრივ აუდიტორიაში. შეარჩიეთ სასწავლო გარემო, სადაც სხვა ადამიანების ხმაური არ შეგიშლით ხელს ლექციის მსვლელობაში.

პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:

- არ დააგვიანოს ვირტუალურ აუდიტორიაში შესვლა;
- არ მოიწვიოს სხვა პირის ლექციაზე დასასწრებად;
- დაიცვას დისკუსიის წესები (ჩატში მიიწეროს კითხვა ან/და დააფიქსიროს დისკუსიაში ჩართვის სურვილი);
- მიკროფონი ქონდეს გამორთულ მდგომარეობაში, გამოიყენოს მხოლოდ პროფესიული მასწავლებლის ნებართვით;
- შედეგების დადატურების დროს გაზიარებული შეფასების ინსტრუმენტი ჩამოტვირთოს დეკსტოპზე, უპასუხოს ტესტურ დავალებებს და მიცემული დროის გასვლის შემდეგ მაქსიმუმ 5 წუთში გადააგზავნოს პედაგოგის მეილზე.

გთხოვთ არ აწარმოოთ ფოტოგადაღება და ვიდეო/ხმა ჩაწერა და არ გამოაქვეყნოთ ინტერნეტ-სივრცეში ფოტო, ვიდეო დაუკითხავად, ვინაიდან ონლაინ შეხვედრების, ონლაინ-სწავლების ამსახველი მასალა (ფოტო, ვიდეო გამოსახულება) წარმოადგენს პირის პერსონალურ მონაცემებს, გამოიყენება მხოლოდ მტკიცებულებად, რაც უნდა იქნეს გათვალისწინებული მათი გასაჯაროებისას.

ელექტრონული პლატფორმა ექვემდებარება მონიტორინგს

1. ელექტრონული სწავლების პროცესის მონიტორინგს ახორციელებს მონიტორინგის ჯგუფი. მონიტორინგის ჯგუფის წევრებს, ლექციის მსვლელობის ხარისხის შესაფასებლად, უფლება აქვს ნებისმიერ დროს ჩაერთოს ლექციაში სამსახური სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით, რაც მოიცავს სასწავლო ცხრილის მიხედვით აუდიო-ვიდეო ლექციების, სასწავლო მასალებისა და ლექციების მასალების განთავსების კონტროლს;

2. ელექტრონული სწავლების პროცესში გამოყენებული მასალების შინაარსის მონიტორინგს ახორციელებს პროგრამის ხელმძღვანელი ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურთან კოორდინაციით.

3. ელექტრონული სწავლების პროცესში აკადემიური პერსონალის დახმარებას, გადამზადებას, მასალების ატვირთვის კონტროლს ახორციელებს ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური

4.სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგის მიზნით, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური ყოველდღიურად ამოწმებს პროფესიული მასწავლებლების მიერ აკადემიის მეილზე გადმოგზავნილ ლექციის ლინკს და დასწრების აღრიცხვას, დისტანციური სწავლებით მიმდინარე ყველა საგანმანათლებლო პროგრამისათვის შექმნილ ჯგუფში ჩართული იქნება .

ინსტრუქცია დისტანციურად დასადასტურებელი სწავლის შედეგ(ებ)ისათვის

ფორს-მაჟორული სიტუაციაში ან/და თუ პროფესიულ სტუდენტს აქვს შეზღუდული შესაძლებლობები ან /და არსებობს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სხვა საფუძველი, შესაძლებელია პოფესიულმა სტუდენტმა დისტანციურად დაადასტუროს სწავლის შედეგ(ებ)ი;

სწავლის შედეგების დისტანციურად დასადატურებლად აკადემიას სურს შეისყიდოს და გამოიყენებს https://testmoz.com/ პლატფორმა, რომელიც იძლევა სწავლის შედეგის დადასტურების, პროფესიული სტუდენტისათვის საკუთარი შედეგის კონფიდენციალურობის დაცვით გაცნობის, ასევე გამჭირვალობის და სამართლიანობის დაცვის საშუალებას.

სწავლის შედეგის დადასტურებამდე პროფესიულ სტუდენტებს გადაეგზავნებათ შეფასების ინსტრუმენტი ტესტის/პრაქტიკული დავალების გარეშე და გასაცნობათ მიეცემათ 5 წუთი. შემდეგ გადაეგზავნებათ ლინკი რომლის მეშვეობითაც შეძლებენ პროგრამაში შესვლას და ტესტის/პრაქტიკული დავალების გახსნას, განსაზღვრული დროის ამოწურვის შემდეგ.

პროფესიულ სტუდენტს აღარ ექნება საშუალება ლინკის გახსნის ან/და ტესტის

დასრულების, შედეგები აისახება მომენტალურად და პროფესიული სტუდენტი შეძლებს გაიგოს დაადასტურა თუ არა სწავლის შედეგი, ამასთან გაიგებს რომელ კითხვაში დაუშვა შეცდომა, თუმცა არ ეცოდინება სწორი პასუხი. პლატფორმა საშუალებას იძლევა პროფესიულ სტუდენტებს ტესტები მიეწოდოს სხვადასხვა ნუმერაციით რაც გამორიცხავს გადაწერის და კარნახის შესაძლებლობას, ასევე განმეორებით დადასტურებაზე გასვლის შემთხვევაში აირევა ტესტის დისტრაქტორები და ნუმერაცია, აუცილებლობის შემთხვევაში კი შეიცვლება ტესტებიც.

რამოდენიმე შედეგის ერთდროულად დადასტურების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტებს განესაზღვრებათ თითოეული შედეგისთვის დადასტურების დრო და თითოეული შედეგისთვის გადაეგზავნებათ სხვადასხვა ლინკი.

დისტანციურად დადასტურებული შედეგების დამადასტურებელი მტკიცებულება ინახება როგორც პლატფორმაზე, ასევე CD დისკზე, რომელიც განთავსდება მოდულისთვის განკუთვნილ ბაინდერში, შეფასების ინსტრუმენტის შეთანხმებულ ვერსიასთან და შეფასების უწყისთან ერთად.

აკადემიის პროფესიული განათლების სტუდენტის გზამკვლევის საფუძველი:

- ✓ საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ;
- ✓ ბათუმის სამედიცინო აკადემიის საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება;
- ✓ სტუდენტთა გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულება;
- ✓ შიდასამართლებრივი აქტები.